1. აქციის პრობები

1.1 კამპანიის დაწყების თარიღი: 2024 წლის 8 აპრილი; კამპანიის დასრულების თარიღი: კამპანიით გათვალისწინებული საჩუქრების ამოწურვამდე

1.2 კამპანიაში მონაწილეობს SOLO CLUB ან Wealth Management მომხმარებლის (საქართველოს რეზიდენტი და სრულწლოვანი ფიზიკური პირი) მიერ Mastercard World Elite ბარათით შესრულებული მინიმუმ 50 ლარიანი ტრანზაქცია (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი) ნებისმიერი ბანკის პოს-ტერმინალის ან ელექტრონული კომერციის მეშვეობით.

შენიშვნა: თუ გადახდა შესრულდა ბარათის უცხოური ვალუტის ანგარიშიდან, გადახდილი თანხის ლარში დაანგარიშება მოხდება გადახდის დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

1.3 იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული მიმღების სასარგებლოდ განხორციელებული გადახდისთვის დაწესებულია საკომისიო და გადახდის განხორციელებისას ბარათთან დაკავშირებული ანგარიშიდან განხორციელდება ორი ტრანზაქცია - ძირითადი თანხის და საკომისიოსი, აქციის მიზნებისთვის აქციაში, როგორც გადახდა, მონაწილეობს მხოლოდ ძირითადი თანხა და არ მოხდება საკომისიოს გათვალისწინება;

1.4 აქციაში მონაწილეობას არ იღებს შემდეგი ტიპის ტრანზაქციები:

- აზარტული თამაშების მიმწოდებლის სასარგებლოდ განხორციელებული ტრანზაქციები.
- გადახდები პოს-ტერმილანზე, როდესაც ოპერაციის შესრულებამდე არ ხდება საბარათე ანგარიშზე არსებული თანხის გადამოწმება (ოფლაინ გადახდა)
- კომუნალური გადახდები (გარდა Bogpay.ge-ზე შესრულებული გადახდებისა);
- ტრანსპორტში შესრულებული გადახდები;
- ბანკის ლოიალურობის პროგრამებით გათვალისწინებული ლოალურობის ქულებით შესრულებული ტრანზაქციები.
- ელექტრონული საფულეებში დამატებული ბარათით შესრულებული ტრანზაქციები
- ფიზიკურ/იურიდიულ პირთან ბარათით თანხის გადარიცხვები.
- ტრანზაქციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შეძენასთან, ნებისმიერი სახით (არხიდან) თანხის განაღდება;
- საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის პოლიტიკით/პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი უკანონონო გადახდის ოპერაციები.
- ნებისმიერი ტიპის თანხის ჩარიცხვის ტრანზაქციები.

- საფინანსო დაწესებულების (ფინანსური ინსტიტუტის/ორგანიზაციის) სასარგებლოდ განხორციელებული ტრანზაქციები.
- კრიპტო და/ან მსგავსი ტიპის აქტივის (მათ შორის საინვესტიციო მოდულით სარგებლობის მიზნებისთვის განხორციელებული ტრანზაქციები) შესაძენად/დასაკონვერტირებლად განხორციელებული ტრანზაქციები.

1.5 ბანკის გადაწყვეტილებით, აქციას გამოეთიშება მომხმარებელი თუ:

გადახდის დღეს ექნება 10-ზე მეტი 50 ლარიანი გადახდა ერთი მერჩანტის სასარგებლოდ;

გადახდის დღეს მომხმარებელს დაინიცირებული ექნება სხვადასხვა მერჩანტის სასარგებლოდ შესრულებული 10-ზე მეტი გაუქმებული (რევერსალი) გადახდის ოპერაცია.

1.6 ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ აქციაში მონაწილის ქცევაზე დაკვირვების შედეგად აქციაში მონაწილეს აუკრძალოს გარკვეული პერიოდით ან მთელი აქციის მიმდინარეობის მანძილზე აქციაში მონაწილეობა, მათ შორის განხორციელებული გადახდების გაუქმების გამო. მათ შორის, ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ აქციაში მონაწილე გამოთიშოს წინამდებარე აქციის მიმდინარეობის ნებისმიერი ეტაპიდან/არ გადასცეს საჩუქარი ბანკის შიდა პოლიტიკებისა და საერთაშორისო სანქციების ორგანოს სანქციების გადაწყვეტილების შესაბაისად.

2. აქციის არსი

2.1 აქციის მოქმედების განმავლობაში ყოველ მე-5000 ტრანზაქციას, რომელიც დააკმაყოფილებს პირველი თავით განსაზღვრულ პირობებს, გადაეცემა კანის კინოფესტივალის 2 კაციანი საგზურის პაკეტი; (სულ გათვალისწინებულია 3 საგზური). თითოეული 2 კაციანი საგზური არის 3 დღიანი.

შენიშვნა: აქციის პირობებით განსაზღვრულ ტრანზაქციის რიგითობას განსაზღვრავს საგადახდო სისტემის მიერ საბარათე ოპერაციის ავტორიზაციის (დადასტურების) მომენტი.

2.2 აქციაში მონაწილე მომხმარებელს საშუალება აქვს აკონტროლოს აქციის მოქმედების განმავლობაში განხორციელებული აქციაში ჩართული ტრანზაქციების ოდენობას, აქციის მოქმედების პერიოდში https://bankofgeorgia.ge/ -ზე.

2.3 აქციაში მონაწილე თითოეული მომხმარებელი აქციის მოქმედების პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეძლებს მიიღოს აქციით განსაზღვრული საჩუქარი.

შენიშვნა: თუ ერთხელ უკვე დასაჩუქრებული მომხმარებლის მიერ შესრულებული ტრანზაქცია ისევ აღმოჩნდება 5000-ის ჯერადი, აქციით განსაზღვრულ პრიზს მიიღებს რიგითობით შემდეგი ტრანზაქციის შემსრულებელი მომხმარებელი.

3. აქციის საჩუქრის გადაცემა

3.1 მომხმარებლებს საჩუქრებთან დაკავშირებით ბანკი დაუკავშირდება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.2 თუ მომხმარებელმა განაცხადა უარი პრიზის მიღებაზე, აქციის ფარგლებში საჩუქარს მიიღებს რიგითობით შემდეგი მომხმარებელი;

3.3 SOLO CLUB პაკეტის მფლობელი მომხმარებლისთვის დაუშვებელია აქციის ფარგლებში მიღებული საგზურის მესამე პირზე გაჩუქება. აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს WM პაკეტი მფლობელი მომხმარებლების შემთხვევაში.

3.4. პრიზის მიმღების გამოვლენის შემდეგ ბანკი ბანკში დადგენილი სტანდარტული პროცესის შესაბამისად გაატარებს სქრინინგს. სქრინინგის შედეგად თუ დადგინდა აქციის პირობების შესაბამისად საჩუქრის მიმღები ტრანზაქციის შემსრულებელი მომხმარებლის ან/და მისი თანხმლები პირის ნებისმიერი ფორმით ბანკის შიდა პოლიტიკებთან, პროცედურებთან ან/და საერთაშორისო სანქციებთან შეუსაბამობა, ასეთ მომხმარებელს და მის თანმხლებ პირ(ებ)ს (მიუხედავად იმისა თუ რომელი პირის მიმართ დადგება სქრინინგის შედეგად ასეთ გადაწყვეტილება) არ გადაეცემა აქციით გათვალისწინებული საგზური. ასეთ შემთხვევაში აქციით გათვალისწინებული საჩუქარი გადაეცემა, რიგითობით შემდეგი ტრანზაქციის განმახორციელებელ მომხმარებელს.